

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

რა არის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა?

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა 2013 წლის 28 თებერვლიდან. პროგრამის მიზანია, ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის.

ვინ არიან პროგრამით მოსარგებლები?

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლენი არიან:

- I. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები; ასევე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი პირები (გარდა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართული პირებისა, საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული პირებისა და იმ ბრალდებული/მსჯავრდებული პირებისა, რომლებიც იმყოფებიან პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში), რომელთა სამედიცინო მომსახურების პირობები განსაზღვრულია დანართი N1.1-ით
 - i. პირები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ 70 000-დან-100 000 სარეიტინგო ქულა
 - ii. 6-დან 17 წლის (ჩათვლით) ასაკის პირები
 - iii. წლიური 40,000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პირები;
 - iv. თვიური 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ან სხვ. პირებიპირებს, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარი და მეტია, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მომსახურება პროგრამის მხოლოდ შემდეგი კომპონენტების ფარგლებში: მშობიარობა/საკეისრო კვეთა და მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული მომსახურება, ასევე ინფექციური დაავადებების მართვა (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების დანართი 1.7.1 მიხედვით).

პროგრამით გათვალისწინებული სრული მომსახურებით ისარგებლებენ საპენსიო ასაკის პირები, მათი შემოსავლისა და დაზღვევის სტატუსის მიუხედავად.

თუ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო სქემაში ჩართულ პირს ამა თუ იმ მიზეზით შეუწყდა სადაზღვევო კონტრაქტი, ამ შემთხვევაში მოქალაქე ჩაერთვება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში და გარდამავალ პერიოდში მიიღებს კონკრეტული ტიპის შესაბამისი ე. წ. მინიმალური პაკეტის პირობებით გათვალისწინებულ სამედიცინო მომსახურებას, მოსარგებლეთა კატეგორიის მიხედვით (იხ. ცხრილი). 6 თვის შემდეგ შეეძლება ისარგებლონ კატეგორიის შესაბამისი მომსახურების პირობებით.
- II. ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები - სამედიცინო მომსახურების პირობები განსაზღვრულია დანართი N1.4-ით (ვეტერანების პაკეტი);
- III. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა დასადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ყოფილი მოსარგებლები, რომელთა სამედიცინო მომსახურების პირობები განსაზღვრულია დანართი N1.3-ის პირველი პუნქტით (მიზნობრივი ჯგუფი);
- IV. „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ყოფილი მოსარგებლები რომელთა სამედიცინო მომსახურების პირობები განსაზღვრულია დანართი N1.3-ის მე-2 პუნქტით (ასაკობრივი ჯგუფი).

რომელი დაწესებულება იღებს სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობას?

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობას იღებს ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება, რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთანხმება პროგრამის პირობებს და დადგენილი წესით, წერილობით დაუდასტურებს სოციალური მომსახურების სააგენტოს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. ამასთან, ინტენსიური მოვლა/მკურნალობის სერვისის მიმწოდებლების, ასევე, ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში სამედიცინო-ნეონატალური მომსახურებისა და გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მიმწოდებლებისადმი განსაზღვრულია დამატებითი პირობები.

პროგრამის მოსარგებლეს უფლება აქვს თავად აირჩიოს სამკურნალო დაწესებულება საქართველოს მასშტაბით.

როგორ მოხდება მოსახლეობის რეგისტრაცია მომსახურების მისაღებად?

- გეგმიური ამბულატორიული მომსახურებისათვის მოსარგებლეს შეუძლია დარეგისტრირდეს სურვილისამებრ, შერჩეულ მომსახურების მიმწოდებელ ნებისმიერ დაწესებულებაში (სპეციალურად შემუშავებული, სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის შევსების საფუძველზე). ამასთან რეგისტრაციის შეცვლა შესაძლებელია 2 თვეში ერთხელ. პროგრამით მოსარგებლე პირს უფლება აქვს, რომ რეგისტრირებული იყოს მხოლოდ ერთ კლინიკაში - გეგმიური ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში.
- გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მისაღებად არ არსებობს რაიმე შეზღუდვა სამედიცინო დაწესებულების არჩევისას;
- გეგმიური ქირურგიული და ონკოლოგიური მომსახურება ხორციელდება მატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის/თანხმობის წერილის საფუძველზე, რომლის მიღება პროგრამის მოსარგებლეს შემდეგი გზით შეუძლია: მოქალაქე მიმართავს პროგრამის/ქვეპროგრამის მიმწოდებელს ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ხდება მომსახურების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, რის თაობაზე მოსარგებლეს/წარმომადგენელს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, რომელშიც, მოთხოვნის ნომერთან ერთად, მითითებული იქნება მიმართვის უნიკალური კოდი. მოსარგებლეს/წარმომადგენელს შეუძლია უნიკალური კოდი წარადგინოს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში და ადგილზე მიიღოს საგარანტიო წერილი. მედიკამენტებით სარგებლობის შემთხვევაში მოსარგებლეს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, რომელშიც, რეცეპტის ნომერთან ერთად, მითითებულია მედიკამენტის დასახელება და სააფთიაქო ქსელის სახელწოდება. მოსარგებლეს შეუძლია ელექტრონული რეცეპტის ნომერი წარადგინოს აღნიშნულ სააფთიაქო ქსელში და მიიღოს მედიკამენტი.

რა მომსახურებას მოიცავს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა?

I (i) პირები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ 70 000-დან-100 000 სარეიტინგო ქულა		
მომსახურების სახე	თანაგადახდის %	
	დაუზღვეველი	დაზღვეული
გეგმური ამბულატორიული მომსახურება გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პაციენტის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.	100%	100%
➤ ოჯახის ან უზნის ექიმის და ექთნის მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში, მათი მომსახურება ბინაზე	100%	100%
➤ ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული პროფილაქტიკური აცრები;	100%	100%
➤ ოჯახის ან სოფლის ექიმის დანიშნულებითექიმ-სპეციალისტების მომსახურება · ენდოკრინოლოგი; · ოფთალმოლოგი; · კარდიოლოგი; · ნევროლოგი; · გინეკოლოგი; · ოტორინოლარინგოლოგი; · უროლოგი; · ქირურგი	70%	70%
➤ ექიმის დანიშნულებით ინსტრუმენტული გამოკვლევები: · ელექტროკარდიოგრაფია	100%	100%
· საკმლის მომწველელი სისტემის ექოსკოპია (ტრანსაბდომინურად) · შარდ-სასქესო სისტემისა და მცირე მენჯის ორგანოების ექოსკოპია (ტრანსაბდომინურად) · გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია · ძვლების რენტგენოგრაფია	70%	70%
➤ ექიმის დანიშნულებით კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები. · სისხლის საერთო ანალიზი; · შარდის საერთო ანალიზი;	100%	100%
· გლუკოზა პერიფერიულ სისხლში; · კრეატინინი; · ქოლესტერინი სისხლში; · შრატში ლიპიდების განსაზღვრა; · განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე; · პროთრომბინის დრო;	100%	100%
· ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST); · ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი (TSH);	70%	70%
➤ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა;	100%	100%
➤ სამედიცინო ცნობის, დასკვნის და რეცეპტის გაცემა, გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული, ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებისა.	100%	100%
➤ გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება განსაზღვრული ნუსხის მიხედვით (დანართი 1.2)	100%	100%
➤ გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება ლიმიტი ერთეულ შემთხვევაზე 15,000 ლარი.	100%	100%
· ინტენსიური თერაპია და კრიტიკული მდგომარეობების მართვა;	100%	100%
· გადაუდებელი მდგომარეობები განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად.	70%*	70%*
· ყველა სხვა გადაუდებელი და სასწრაფო მდგომარეობის მართვა.	70%*	70%*
გეგმური ქირურგიული ოპერაციები წლიური ლიმიტი 15,000 ლარი.	70%*	70%*
· ონკოქირურგიული და კარდიოქირურგიული ოპერაციები	70%*	70%*
· სხვა ქირურგიული ოპერაციები	70%*	70%*
ონკოლოგიურ დაავადებათა არაქირურგიული მკურნალობა (წლიური ლიმიტი 20 000 ლარი)	80%*	80%*
➤ ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია	80%*	80%*
➤ სხივური თერაპია	ლიმიტი 500 ლ.	ლიმიტი 500 ლ.
➤ მშობიარობა: · ფიზიოლოგიური მშობიარობა	ლიმიტი 800 ლ.	ლიმიტი 800 ლ.
· საკეისრო კვეთა	70% ლიმიტი 500/800ლ 100%	70% ლიმიტი 500/800ლ 100%
➤ მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული მომსახურება · სტაციონარული მომსახურება · მშობიარობა/საკეისრო კვეთა · სეფსისი	70% ლიმიტი 500/800ლ 100%	70% ლიმიტი 500/800ლ 100%
➤ ინფექციური დაავადებების მართვა · ინფექციური დაავადებები ნუსხის მიხედვით (დანართი 1.7.1)**	80%	80%
· ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია	100%	100%

I (ii) 6-დან 17 წლის (ჩათვლით) ასაკის პირები

მომსახურების სახე	თანაგადახდის %	
	დაუზღვეველი	დაზღვეული
გეგმური ამბულატორიული მომსახურება გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პაციენტის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.	100%	100%
➤ ოჯახის ან უზნის ექიმის და ექთნის მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში, მათი მომსახურება ბინაზე		
➤ ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული პროფილაქტიკური აცრები;	100%	100%
➤ ოჯახის ან სოფლის ექიმის დანიშნულებითექიმ-სპეციალისტების მომსახურება · ენდოკრინოლოგი; · ოფთალმოლოგი; · კარდიოლოგი; · ნევროლოგი; · გინეკოლოგი; · ოტორინოლარინგოლოგი; · უროლოგი; · ქირურგი	70%	70%
➤ ექიმის დანიშნულებით ინსტრუმენტული გამოკვლევები: · ელექტროკარდიოგრაფია	100%	100%
· საჭმლის მომნელებელი სისტემის ექოსკოპია (ტრანსაბდომინურად) · შარდ-სასქესო სისტემისა და მცირე მენჯის ორგანოების ექოსკოპია (ტრანსაბდომინურად) · გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია · ძვლების რენტგენოგრაფია	70%	70%
➤ ექიმის დანიშნულებით კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები. · სისხლის საერთო ანალიზი; · შარდის საერთო ანალიზი;	100%	100%
· გლუკოზა პერიფერიულ სისხლში; · კრეატინინი; · ქოლესტერინი სისხლში; · შრატში ლიპიდების განსაზღვრა; · განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე; · პროთრომბინის დრო;	100%	100%
· ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST); · ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი (TSH);	70%	70%
➤ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა;	100%	100%
➤ სამედიცინო ცნობის, დასკვნის და რეცეპტის გაცემა, გარდა სამსახურის დაწყებამდე დაკავშირებული, ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებისა.	100%	100%
➤ გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება განსაზღვრული ნუსხის მიხედვით (დანართი 1.2)	100%	100%
➤ გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება ლიმიტი ერთეულ შემთხვევაზე 15,000 ლარი.	100%	100%
· ინტენსიური თერაპია და კრიტიკული მდგომარეობების მართვა;		
· გადაუდებელი მდგომარეობები განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად.	100%	100%
· ყველა სხვა გადაუდებელი და სასწრაფო მდგომარეობის მართვა.	70%*	70%*
გეგმური ქირურგიული ოპერაციები წლიური ლიმიტი 15,000 ლარი.	100%*	100%*
· ონკოქირურგიული და კარდიოქირურგიული ოპერაციები		
· სხვა ქირურგიული ოპერაციები	70%*	70%*
ონკოლოგიურ დაავადებათა არაქირურგიული მკურნალობა (წლიური ლიმიტი 20 000 ლარი)	100%*	100%*
➤ ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია წლიური ლიმიტი 20 000 ლარი		
➤ სხივური თერაპია	100%*	100%*
➤ მშობიარობა: · ფიზიოლოგიური მშობიარობა	ლიმიტი 500 ლარი	ლიმიტი 500 ლარი
· საკეისრო კვეთა	ლიმიტი 800 ლარი	ლიმიტი 800 ლარი
➤ მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული მომსახურება · სტაციონარული მომსახურება · მშობიარობა/საკეისრო კვეთა · სეფსისი	70% ლიმიტი 500/800ლ 100%	70% ლიმიტი 500/800ლ 100%
➤ ინფექციური დაავადებების მართვა · ინფექციური დაავადებები ნუსხის მიხედვით (დანართი 1.7.1)*** · ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია	80% 100%	80% 100%

I (iii) წლიური 40,000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პირები;

მომსახურების სახე	თანაგადახდის %			
	დაუზღვეველი	01.01.2017 შემდეგ დაზღვეული	01.01.2017 მდგომარეობით დაზღვეული	მინიმალური პაკეტი
გეგმური ამბულატორიული მომსახურება გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პაციენტის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.	100%	-	-	100%
➤ ოჯახის ან უბნის ექიმის და ექთნის მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში, მათი მომსახურება ბინაზე	100%	-	-	100%
➤ ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული პროფილაქტიკური აცრები;	100%	-	-	100%
➤ ოჯახის ან სოფლის ექიმის დანიშნულებით ექიმ-სპეციალისტების მომსახურება · ენდოკრინოლოგი; · ოფთალმოლოგი; · კარდიოლოგი; · ნევროლოგი; · გინეკოლოგი; · ოტორინოლარინგოლოგი; · უროლოგი; · ქირურგი	-	-	-	-
➤ ექიმის დანიშნულებით ინსტრუმენტული გამოკვლევები: · ელექტროკარდიოგრაფია · საჭმლის მომწელებელი სისტემის ექსკოპია (ტრანსაბდომინურად) · შარდ-სასქესო სისტემისა და მცირე მენჯის ორგანოების ექსკოპია (ტრანსაბდომინურად) · გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია · ძვლების რენტგენოგრაფია	-	-	-	-
➤ ექიმის დანიშნულებით კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები. · სისხლის საერთო ანალიზი; · შარდის საერთო ანალიზი; · გლუკოზა პერიფერიულ სისხლში; · კრეატინინი; · ქოლესტერინი სისხლში; · შრატში ლიპიდების განსაზღვრა; · განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე; · პროთრომბინის დრო; · ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST); · ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი (TSH);	-	-	-	-
➤ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა;	-	-	-	-
➤ სამედიცინო ცნობის, დასკვნის და რეცეპტის გაცემა, გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული, ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებისა.	100%	-	-	100%
➤ გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება განსაზღვრული ნუსხის მიხედვით (დანართი 1.2)	-	-	-	-
➤ გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება ლიმიტი ერთეულ შემთხვევაზე 15,000 ლარი.	90%	-	-	90%
· ინტენსიური თერაპია და კრიტიკული მდგომარეობების მართვა;	90%	-	-	90%
· 450-ზე მეტი გადაუდებელი მდგომარეობა განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად.	70%*	-	-	-
· ყველა სხვა გადაუდებელი და სასწრაფო მდგომარეობის მართვა.**	70%*	-	-	-
გეგმური ქირურგიული ოპერაციები** წლიური ლიმიტი 15,000 ლარი.	70%*	-	-	-
· ონკოქირურგიული და კარდიოქირურგიული ოპერაციები	70%*	-	-	-
· სხვა ქირურგიული ოპერაციები	70%*	-	-	-
ონკოლოგიურ დაავადებათა არაქირურგიული მკურნალობა (წლიური ლიმიტი 20000 ლარი)	80%*	80%*	-	80%*
➤ ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია წლიური ლიმიტი 20 000 ლარი	80%*	-	-	-
➤ სხივური თერაპია	ლიმიტი 500 ლარი	ლიმიტი 500 ლარი	ლიმიტი 500 ლარი	ლიმიტი 500 ლარი
➤ მშობიარობა: · ფიზიოლოგიური მშობიარობა · საკეისრო კვეთა	ლიმიტი 800 ლარი	ლიმიტი 800 ლარი	ლიმიტი 800 ლარი	ლიმიტი 800 ლარი
➤ მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული მომსახურება · სტაციონარული მომსახურება · მშობიარობა/საკეისრო კვეთა · სეფსისი	70% ლიმიტი 500/800ლ 100%	70% ლიმიტი 500/800ლ 100%	70% ლიმიტი 500/800ლ 100%	70% ლიმიტი 500/800ლ 100%
➤ ინფექციური დაავადებების მართვა · ინფექციური დაავადებები ნუსხის მიხედვით (დანართი 1.7.1)**** · ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია*	80% 90%	80% -	80% -	80% 90%

I (iv) თვეური 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ან სხვ. პირები

მომსახურების სახე	თანაგადახდის %			
	დაუზღვეველი	01.01.2017 შემდეგ დაზღვეული	01.01.2017 მდგომარეობით დაზღვეული	მინიმალური პაკეტი
გეგმური ამბულატორიული მომსახურება გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პაციენტის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ➤ ოჯახის ან უბნის ექიმის და ექთნის მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში, მათი მომსახურება ბინაზე	100%	-	-	100%
➤ ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული პროფილაქტიკური აცრები;	100%	-	-	100%
➤ ოჯახის ან სოფლის ექიმის დანიშნულებით ექიმ-სპეციალისტების მომსახურება · ენდოკრინოლოგი; · ოფთალმოლოგი; · კარდიოლოგი; · ნევროლოგი; · გინეკოლოგი; · ოტორინოლარინგოლოგი; · უროლოგი; · ქირურგი	70%	-	-	-
➤ ექიმის დანიშნულებით ინსტრუმენტული გამოკვლევები: · ელექტროკარდიოგრაფია	100%	-	-	-
· საჭმლის მომნელებელი სისტემის ექსკოპია (ტრანსაბდომინურად) · შარდ-სასქესო სისტემისა და მცირე მენჯის ორგანოების ექსკოპია (ტრანსაბდომინურად) · გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია · ძვლების რენტგენოგრაფია	70%	-	-	-
➤ ექიმის დანიშნულებით კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები. · სისხლის საერთო ანალიზი; · შარდის საერთო ანალიზი;	100%	-	-	-
· გლუკოზა პერიფერიულ სისხლში; · კრეატინინი; · ქოლესტერინი სისხლში; · შრატში ლიპიდების განსაზღვრა; · განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე; · პროთრომბინის დრო;	100%	-	-	-
· ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST); · ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი (TSH);	70%	-	-	-
➤ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა;	100%	-	-	-
➤ სამედიცინო ცნობის, დასკვნის და რეცეპტის გაცემა, გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული, ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებისა.	100%	-	-	100%
➤ გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება · განსაზღვრული ნუსხის მიხედვით (დანართი 1.2), გარდა გადაუდებელი იმუნოზაციისა	50%	50%	-	50%
· გადაუდებელი იმუნოზაცია	100%	100%	-	100%
➤ გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება ლიმიტი ერთეულ შემთხვევაზე 15,000 ლარი.	100%	100%	-	100%
· ინტენსიური თერაპია და კრიტიკული მდგომარეობების მართვა;	100%	100%	-	100%
· გადაუდებელი მდგომარეობები განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად.	100%	100%	-	100%
· ყველა სხვა გადაუდებელი და სასწრაფო მდგომარეობის მართვა.**	70%*	-	-	-
გეგმური ქირურგიული ოპერაციები** წლიური ლიმიტი 15,000 ლარი.	70%*	-	-	-
· ონკოქირურგიული და კარდიოქირურგიული ოპერაციები	70%*	-	-	-
· სხვა ქირურგიული ოპერაციები	70%*	-	-	-
ონკოლოგიურ დაავადებათა არაქირურგიული მკურნალობა (წლიური ლიმიტი 20000 ლარი)	80%*	80%*	-	80%*
➤ ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია/წლიური ლიმიტი 20 000 ლარი	80%*	80%*	-	80%*
➤ სხივური თერაპია	80%*	80%*	-	80%*
➤ მშობიარობა: · ფიზიოლოგიური მშობიარობა	ლიმიტი 500 ლ.	ლიმიტი 500 ლ	ლიმიტი 500 ლ.	ლიმიტი 500 ლ.
· საკეისრო კვეთა	ლიმიტი 800 ლ.	ლიმიტი 800 ლ	ლიმიტი 800 ლ.	ლიმიტი 800 ლ.
➤ მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული მომსახურება · სტაციონარული მომსახურება · მშობიარობა/საკეისრო კვეთა · სეფსისი	70% ლიმიტი 500/800ლ 100%	70% ლიმიტი 500/800ლ 100%	70% ლიმიტი 500/800ლ 100%	70% ლიმიტი 500/800ლ 100%
➤ ინფექციური დაავადებების მართვა · ინფექციური დაავადებები ნუსხის მიხედვით (დანართი 1.7.1)*** · ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია	80% 100%	80% 100%	80% -	80% 100%

მომსახურების სახე	ვეტერანების პაკეტი
<p>გეგმური ამბულატორიული მომსახურება გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პაციენტის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.</p> <p>➤ ოჯახის ან უზნის ექიმის და ექთნის მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში, მათი მომსახურება ბინაზე</p>	100%
<p>➤ ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული პროფილაქტიკური აცრები;</p>	100%
<p>➤ ოჯახის ან სოფლის ექიმის დანიშნულებით ექიმ-სპეციალისტების მომსახურება</p> <ul style="list-style-type: none"> · ენდოკრინოლოგი; · ოფთალმოლოგი; · კარდიოლოგი; · ნევროლოგი; · გინეკოლოგი; · ოტორინოლარინგოლოგი; · უროლოგი; · ქირურგი 	100%
<p>➤ ექიმის დანიშნულებით ინსტრუმენტული გამოკვლევები:</p> <ul style="list-style-type: none"> · ელექტროკარდიოგრაფია · საჭმლის მომნელებელი სისტემის ექოსკოპია (ტრანსაბდომინურად) · შარდ-სასქესო სისტემისა და მცირე მენჯის ორგანოების ექოსკოპია (ტრანსაბდომინურად) · გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია · ძვლების რენტგენოგრაფია 	100%
<p>➤ ექიმის დანიშნულებით კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები.</p> <ul style="list-style-type: none"> · სისხლის საერთო ანალიზი; · შარდის საერთო ანალიზი; · გლუკოზა პერიფერიულ სისხლში; · კრეატინინი; · ქოლესტერინი სისხლში; · შრატში ლიპიდების განსაზღვრა; · განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე; · პროთრომბინის დრო; · ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST); · ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი (TSH); 	100%
<p>➤ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა;</p>	100%
<p>➤ სამედიცინო ცნობის, დასკვნის და რეცეპტის გაცემა, გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული, ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებისა.</p>	100%
<p>➤ გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება განსაზღვრული ნუსხის მიხედვით (დანართი 1.2)</p>	100%
<p>გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება</p>	100%
<ul style="list-style-type: none"> · ინტენსიური თერაპია და კრიტიკული მდგომარეობების მართვა; 	100%
<ul style="list-style-type: none"> · გადაუდებელი მდგომარეობები განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად. 	100%*
<ul style="list-style-type: none"> · ყველა სხვა გადაუდებელი და სასწრაფო მდგომარეობის მართვა. 	100%*
<p>გეგმური ქირურგიული ოპერაციები წლიური ლიმიტი 15 000 ლარი.</p>	100%*
<p>ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია. წლიური ლიმიტი 20 000 ლარი.</p>	100%*
<p>➤ მშობიარობა:</p>	ლიმიტი 500 ლარი
<ul style="list-style-type: none"> · ფიზიოლოგიური მშობიარობა 	ლიმიტი 800 ლარი
<ul style="list-style-type: none"> · საკეისრო კვეთა 	ლიმიტი 800 ლარი
<p>➤ მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული მომსახურება</p> <ul style="list-style-type: none"> · სტაციონარული მომსახურება · მშობიარობა/საკეისრო კვეთა · სეფსისი 	70% ლიმიტი 500/800 ლ. 100%
<p>➤ ინფექციური დაავადებების მართვა</p>	80%
<ul style="list-style-type: none"> · ინფექციური დაავადებები ნუსხის მიხედვით (დანართი 1.7.1)*** 	100%
<ul style="list-style-type: none"> · ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია 	100%

III		
მომსახურების სახე	მიზნობრივი ჯგუფი	
	ქ. 0-60 წ. მ. 0-65 წ.	საპენსიო ასაკი
გეგმური ამბულატორიული მომსახურება გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პაციენტის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.	100%	100%
➤ ოჯახის ან უბნის ექიმის და ექთნის მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში, მათი მომსახურება ბინაზე		
➤ ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული პროფილაქტიკური აცრები;	100%	100%
➤ ოჯახის ან სოფლის ექიმის დანიშნულებით ექიმ-სპეციალისტების მომსახურება · ენდოკრინოლოგი; · ოფთალმოლოგი; · კარდიოლოგი; · ნევროლოგი; · გინეკოლოგი; · ოტორინოლარინგოლოგი; · უროლოგი; · ქირურგი	100%	100%
➤ ექიმის დანიშნულებით ინსტრუმენტული გამოკვლევები: · ელექტროკარდიოგრაფია · საჭმლის მომწელებელი სისტემის ექოსკოპია (ტრანსაბდომინურად) · შარდ-სასქესო სისტემისა და მცირე მენჯის ორგანოების ექოსკოპია (ტრანსაბდომინურად) · გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია · ძვლების რენტგენოგრაფია	100%	100%
➤ ექიმის დანიშნულებით კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები. · სისხლის საერთო ანალიზი; · შარდის საერთო ანალიზი; · გლუკოზა პერიფერიულ სისხლში; · კრეატინინი; · ქოლესტერინი სისხლში; · შრატში ლიპიდების განსაზღვრა; · განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე; · პროთრომბინის დრო; · ორსულობის ტესტი; · ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST); · ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი (TSH);	100%	100%
➤ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა;	100%	100%
➤ სამედიცინო ცნობის, დასკვნის და რეცეპტის გაცემა, გარდა სამსახურის დაწყებისთან დაკავშირებული, ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შემენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებისა.	100%	100%
გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება	100%	100%
გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება	100%	100%
· ინტენსიური თერაპია და კრიტიკული მდგომარეობების მართვა;		
· 450-ზე მეტი გადაუდებელი მდგომარეობა განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად.	100%	100%
· ყველა სხვა გადაუდებელი და სასწრაფო მდგომარეობის მართვა.	100%	100%
გეგმური ქირურგიული ოპერაციები წლიური ლიმიტი 15 000 ლარი.	100%*	100%*
ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია. წლიური ლიმიტი 20 000 ლარი.	100%*	100%*
➤ მშობიარობა: · ფიზიოლოგიური მშობიარობა	ლიმიტი 500 ლარი	
· საკეისრო კვეთა	ლიმიტი 800 ლარი	
➤ მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული მომსახურება · სტაციონარული მომსახურება · მშობიარობა/საკეისრო კვეთა · სეფსისი	100% ლიმიტი 500/800 ლ. 100%	
➤ ინფექციური დაავადებების მართვა · ინფექციური დაავადებები ნუსხის მიხედვით (დაანთი 1.7.1)*** · ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია	100% 100%	100% 100%

* ა) დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების ყოველი ერთეულისათვის მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ფასთა განაწილების ქვედა მეოთხედი განისაზღვრება როგორც ტარიფის არეალი, რომლის ფარგლებშიც მოხდება ანაზღაურება შესაბამისი პროცენტული თანაგადახდის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების ღირებულება გადააჭარბებს აღნიშნული ტარიფის არეალს, თანაგადახდის ოდენობის ათვლა მოხდება ტარიფის არეალის მაქსიმალური სიდიდიდან;

ბ) ქიმიო და ჰორმონული პრეპარატებით პაციენტთა უზრუნველყოფის შემთხვევაში, ტარიფის არეალს წარმოადგენს ფასთა განაწილების ქვედა ნახევარი, რომლის ფარგლებშიც მოხდება ანაზღაურება შესაბამისი პროცენტული თანაგადახდის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების ღირებულება გადააჭარბებს აღნიშნული ტარიფის არეალს, თანაგადახდის ოდენობის ათვლა მოხდება მოცემული ტარიფის არეალის მაქსიმალური სიდიდიდან.

** ა) თვიური 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლისა და სხვ. პირებისთვის - თუ პროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა არ აღემატება 500 ლარს, შემთხვევის დაფინანსება განხორციელდება მოსარგებლის მიერ (ტარიფის არეალი \leq 500ლ). ხოლო თუ პროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა აღემატება 500 ლარს, პაციენტის თანაგადახდა შეადგენს პროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 30%-ს, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

ბ) წლიური 40,000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პირებისთვის - თუ პროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა არ აღემატება 1000 ლარს, შემთხვევის დაფინანსება განხორციელდება მოსარგებლის მიერ (ტარიფის არეალი \leq 1000ლ). ხოლო თუ პროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა აღემატება 1000 ლარს, პაციენტის თანაგადახდა შეადგენს პროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 30%-ს, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა.

*** განსაზღვრული ნუსხის მიხედვით ინფექციური დაავადებების ხარჯები პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება პროგრამის ზემოაღნიშნული მოსარგებლების გარდა ანაზღაურდება საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვისაც.

რა მომსახურებები არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში?

- * შესაბამისი წლის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების ფარგლებში დაფინანსებული ჯანდაცვითი პროგრამული მომსახურებები;
- * სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა;
- * საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
- * სანატორიულ-კურორტული მკურნალობა;
- * ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა;
- * სექსუალური დარღვევების, უშვილობის მკურნალობის ხარჯები;
- * ვირუსული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- * თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაზავების, ტერორისტულ ან კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის, ან არალეგალურად მოხმარებული ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, გარდა გადაუდებელი სტაციონარული ან ამბულატორიული მომსახურების შემთხვევებისა;
- * თერაპიული პროფილის გეგმური ჰოსპიტალური მომსახურება;
- * ორგანოთა ტრანსპლანტაციის, აგრეთვე ეგზოპროთეზირების ხარჯები.
- * ბარიატრიული ოპერაცია

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საბაზისო (I) და ვეტერანების (II) პაკეტით მოსარგებლეთათვის დაფინანსებას არ ექვემდებარება:

- თერაპიული პროფილის ჰოსპიტალური მომსახურება, გარდა დანართი №1.2-ით განსაზღვრული მდგომარეობებისა;
- ორთოპედიული ენდოპროთეზირების (გარდა ტრავმებისა, რომელთა ხანდაზმულობა არ აღემატება 3 თვეს და რომლებიც არ ექვემდებარებიან ან არ დაექვემდებარენ კონსერვატულ მკურნალობას), ასევე დეფიბრილატორით ან გულის რესინქრონიზაციული თერაპიის აპარატით აღჭურვილი იმპლანტირებადი რითმის ხელოვნური წარმმართველის და წამლით დაფარული სტენტის ხარჯები;
- პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია (PET/CT);
- თვალის რეფრაქციული ქირურგია, სიელმის ქირურგიული მკურნალობა, თვალის ლაზერული ქირურგია (გარდა დიაბეტური თვალისა), რქოვანის გადანერგვა.
- ექსტრაკორპორალური (დისტანციური) ლითოტრიფსია;
- აბლაცია.